შპს „ბალავერი“

„ვამტკიცებ“,

შპს „ბალავერის“-ს დირექტორი

მ.გეგია

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №3-ში (ახუნდოვის №4) მდებარე სასტუმროს, „ტიფლის პალასი“-ს (ს/კ: 01.18.04.001.029) შენობაზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენის შეფასება



თბილისი

2020 წ

შესავალი

წინამდებარე დასკვნა ითვალისწინებს ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №3-ში (ახუნდოვის №4) მდებარე სასტუმროს, „ტიფლის პალასი“-ს (ს/კ: 01.18.04.001.029) შენობაზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების შესრულების შემთხვევაში შენობის ტექნიკურ მდგომარეობაზე გავლენის შეფასებას

სამშენებლო უბანი, სადაც განლაგებულია საკვლევი შენობა ხასიათდება შემდეგი მონაცემებით:

- სამშენებლო მოედნის სეისმიურობა - 8 ბალი
- ქარის ნორმატიული დატვირთვა - 33 კგ/მ^2;
- თოვლის ნორმატიული დატვირთვა - 50 კგ/მ^2.

გამოყენებული მასალები

1. ქ. თბილისი, გორგასლის №3 (ახუნდოვის №4), სასტუმროს „ტიფლის პალასი“ ს/კ01.18.04.001.029 შენობაზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების არქიტექტურული ნაწილი
2. საკადასტრო რუქა
3. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა №001043113. 25.03.2013 წ.
4. ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნა №003267518. 17.05.2018 წ.
5. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიის 2017 წლის 28 აპრილის გადაწყვეტილების საქმე №3/8982-16
6.

გამოკვლევა

ზემოთაღნიშნული დოკუმენტების გაცნობის საფუძველზე, ასევე ქ.თბილისის არქიტექტურის სამსახურის №5113647 გადაწვეტილებაში ჩვენს ნაწილში მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით მომზადდა განახლებული დასკვნა, რომელსაც თან ერთვის გაძლიერების პროექტი. დასკვნა და გაძლიერების პროექტი შედგენილია კონსტრუქციული შენიშვნების გათვალისწინებით, ხოლო არქიტექტურის სამსახურის და სასამართლო გადაწყვეტილებაში წარმოგენილი სხვა გარემოებები არ შედის კონსტრუქტორის კომპენტენციაში

ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №3-ში (ახუნდოვის №4) მდებარე სასტუმროს, „ტიფლის პალასი“-ს (ს/კ01.18.04.001.029) შენობაზე ჩასარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოების არქიტექტურული ნაწილი დამუშავებულია არქიტექტორ დ. ნაკაშიძის მიერ.

საპროექტო შენობა გეგმაში რთული მოხაზულობისაა, შედგება ორი მიწისქვედა და შვიდი მიწისზედა სართულისაგან. იგი კარკასული ნაგებობაა. მზიდი კონსტრუქციები მონოლითური რკინაბეტონისაა, მონოლითური რკინაბეტონის სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილები ხისტადაა დაკავშირებული ერთმანეთთან და ქმნის ერთიან ხისტ დიაფრაგმას, რაც მნილოვანია სეისმიური ძალების მისაღებად.

წარმოდგენილი არქიტექტურული ნახაზების მიხედვით რეკონსტრუქცია ითვალისწინებს:

1. შენობაზე არსებული ღია გადასასვლელის შემინვას “3-4” და “M–H” ღერძებში (იხ. დანართი 1, გეგმა 0.00 და 3.40 ნიშნულზე)

2, შენობაზე არსებული ღია გადასასვლელის გადახურვას მსუბუქი კონსტრუქციებით (იხ. დანართი 1, გეგმა 6.75) ნიშნულზე



სურ.1. გოგირდის აბანოს გუმბათი



სურ.2. გადასახურავი სივრცე



სურ.3. ვიტრაჟის მოსაწყობი არე

სასტუმროს შენობის ვიზუალური დათვალიერებით, მის მზიდ კონსტრუქციებში, მნიშვნელოვანი ბზარები და დეფორმაციები არ აღინიშნება და შესაძლებელია ჩატარდეს ზემოანიშნული სარეკონსტრუქციო სამუშაოები. აღნიშნული სარეკონსტრუქციო სამუშაოები შესაძლებელია ჩატარდეს წარმოდგენილი გაძლიერების პროექტის კონსტრუქციული ნაწილი ნაწილის მიხედვითდ, რომელიც დასკვნას თან ერთვის.
წარმოდგენილი პროექტი ითვალსისწინებს

1. “M–H” და “3-4” ღერძებს შორის 0.00 ნიშნულზე არსებული გადახურვის დემონტაჟს და თავიდან მოწყობას
2. “M–H” ღერძებში “M” ღერძის გასწვრივ 3.40 ნიშნულზე არსებული გადახურვის კოჭის დემონტაჟს და თავიდან მოწყობას
3. “M–H” ღერძებში “M” ღერძის გასწვრივ 6.75 ნიშნულზე არსებული გადახურვის კოჭის დემონტაჟს და თავიდან მოწყობას ასევე “M–H” და “3-4” ღერძებს შორის სახურავის მოწყობას

გაძლიერების პროექტში გამოყენებული ყველა ლითონისა და ხის კონსტრუქციები შეიღებოს ანტიკოროზიული და ანტისეპტიკური საღებავებით, ხოლო ბეტონი დამზადებული იქნას სულფატომედეგ ცემენტებზე, კუმშვაზე სიმტკიცის მიხედვით კლასით B25, წყალშეუღწევადობით W8.

დ ა ს კ ვ ნ ა

1. ქ. თბილისში, გორგასლის ქ. №3-ში (ახუნდოვის №4) მდებარე სასტუმროს, „ტიფლის პალასი“-ს (ს/კ: 01.18.04.001.029) შენობაზე ჩასატარებელი სარეკონსტრუქციო სამუშაოები, წარმოდგენილი კონსტრუქციული ნახაზების მიხედვით შესრულების შემთხვევაში უარყოფითად არ იმოქმედებს არსებული შენობის მზიდუნარიანობაზე.

ინჟინერ კონსტრუქტორი ლ. ზამბახიძე

რ. აფხაძე

10.09.2020 წ.